სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **138-1382630330**
თარიღი: **30/10/2026**

ადრესატი: სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ (შემდგომში – „სააგენტო“) განიხილა თქვენი 2026 წლის 22 ოქტომბრის №6/59763 მომართვა (რეგისტრირებული განცხადების ნომერი: №06-1382629516-138; თარიღი: 22.10.2026), რომლითაც, შემდგომი პრივატიზების მიზნით, ითხოვთ ინფორმაციას ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნატანებში (შეკვეთილი) მდებარე 228 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 26.01.48.376) დადგენილი ფუნქციური ზონისა და არსებული შეზღუდვების შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ "ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე" (შემდგომში - „ქალაქთმშენებლობითი გეგმები“) საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის N590-ე დადგენილებით დამტკიცებული ქალაქთმშენებლობითი გეგმების შესაბამისად, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საკურორტო ზონა 2 (შზ-7).

საკურორტო ზონა 2 (შზ-7) წარმოადგენს ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის საზღვრებში კურორტისთვის დამახასიათებელ განაშენიანებას.

დამატებით გაცნობებთ, რომ დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთსა და 26.01.48.030 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს შორის დარჩენილია დაურეგისტრირებელი 2 კვ.მ; აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი უნდა გასწორდეს ნაკვეთების გაერთიანებამდე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელია მომიჯნავედ არსებულ, საკადასტრო კოდით №26.01.48.030 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან გაერთიანების შემთხვევაში, (2 კვ.მ.) ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის შემდგომ, ქალაქთმშენებლობითი გეგმით დამტკიცებული მართვის რეგლამენტით საკურორტო ზონა 2-ისთვის (შზ-7) განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით.

პატივისცემით,

ზურაბი წიკლაური

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო-უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი